„მეფე ერეკლე - ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია“

,,ერეკლე მეორეს სურდა ევროპული ცივილიზაციის შემოტანა როგორც საკუთარ სამეფოში ასევე უშუალოდ მედიცინაშიც''

იცოდით, რომ ერეკლე მეფე მოქალაქე სტეფანე ფოღოაშვილს სწერს წერილს სტამბოლიდან ჩამოსულ ფრანგი ექიმის ესახებ, რომ დახვდეს, ჯერ თუ არ ჩამოსულა, დაელოდოს და მისი ყველა ხარჯი უზრუნველყოს. ამ ხარჯს კი მეფე აუცილებლად დაუფასებს.

მეფემ ესოდენ ყურადღება გამოიჩინა ფრანგი ექიმის ჩამოსვლის შესახებ. ეს ხაზს უსვამს მის ინტერესებს, რომლებიც გულისხმობენ ევროპული ცივილიზაციის დანერგვას ქართლ-კახეთში, ამავდროულად მედიცინის მხრივაც.

წერილში, ნათლად ჩანს, თუ როგორი დაბეჯითებით ეკიდება მეფე ერეკლე ამ საკითხს და როგორი ხელგაშლილია სტამბოლიდან ჩამოსული ფრანგი ექიმის მიმართ.

მრავალი წლის განმავლობაში, ქართული ერის შესახებ, ევროპაში ცნობები არ არსებობდა. თუმცა, დუბლინში მიაკვლიეს 29 ცნობას საქართველოსა და ერეკლე მეორის შესახებ. ცნობების აბსოლუტური უმრავლესობა ბრიტანულ პრესასა და სამეცნიერო გამოცემებშია გამოქვეყნებული, მცირე ნაწილი კი - ირლანდიაში. პირველი პუბლიკაცია მეფე ერეკლეს შესახებ ბრიტანულ პრესაში 1750 წელს ჩნდება. ეს ფაქტი, კი მიუთითებს ერეკლე მეფის მცდელობის შედეგობრიობას საქართველოთი ევროპის ქვეყნების დაინტერესების შესახებ.

მოგეხსენებათ, სამედიცინო აცრების მასობრივად დაწყება საქართველოში ერეკლე მეორეს სახელს უკავშირდება. სწორედ მისი ინიციატივით შემოვიდა პირველად ვაქცინა ევროპიდან და ამის მეშვეობით, ამდენად განვითარდა მედიცინა. როგორც ცნობილია, მან გასცა ბრძანება პირველად მისი ვაჟის აცრის შესახებ, რათა სხვას ერწმუნა, რომ ეს არათუ საშიში, არამედ სასარგებლო იყო. ამ ისტორიულ ფაქტს აღწერს თავის ჩანაწერებში ცნობილი გერმანელი მეცნიერი იოჰან გიულდენშტეტდცი. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად პრიორიტეტული იყო მეფისთვის, რომ მედიცინა განევითარებინა. და სწორედ ამ გადაწყვეტილებით არაერთი ევროპელი მეცნიერის ყურადღებასაც იპყრობდა, როგორც ზემოთ ვახსენე.

ფრანგი ექიმის სტუმრობა, საკმაოდ მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული აღმოჩნდა მეფისთვის, რაც გასაკვირი არც არის ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს თუ გავითვალისწინებთ.

მე ვფიქრობ რომ სწორედ ამ უმთავრესმა ცნობამ, ერეკლე მეფის წერილმა, სავსებით დაგვარწმუნა იმ მოსაზრებაში, რომ იგი ცდილობდა ქართული ერის ინტეგრირებას ევროპასთან, ამის მეშვეობით ახლის დანერგვას, რაც ამავე წერილის მიხედვით აღსანიშნავია მედიცინის სფეროში.

მარიამ გომელაური

15 წლის

ქალაქი თბილისი 63-ე საჯარო სკოლა; მე-10ა კლასი